კომუნიკაციის როლი კომპანიის მართვაში

ზურა მარიხოშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისრტო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზურა მარიხოშვილი, 2.07.2021

აბსტრაქტი

კომუნიკაცია თითოეული ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ორგანიზაციებსა და კომპანიებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომლის სიცოცხლისუნარიანობასაც მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთი და უპირველესი ფაქტორი ეფექტური კომუნიკაციაა როგორც შიგნით, ასევე მის გარეთ.

ბიზნესკომუნიკაციები, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბების პროცესშია და მოცემული ნაშრომი გარკვეულწილად შეიტანს წვლილს მის განვითარებასა და სრულყოფაში. ნაშრომის პირველ თავში განხილულია კომუნიკაციის არსი და მისი მნიშვნელობა კომპანიის მართვაში. ამ ნაწილში გაანალიზებულია კომუნიკაციის არსი, მისი სახეები და ორგანიზაციაში კომუნიკაციის მიმდინარეობის პროცესი. აღნიშნული საკითხების ანალიზის შედეგად გავიგეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომუნიკაციის პროცესი ბიზნეს საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის. დავინახეთ, კომუნიკაციის რა მეთოდების გამოყენებაა რელევანტური ეფექტური ბიზნესკომუნიკაციის დასამყარებლად კომპანიის შიგნით და მის გარეთ. ასევე, კომუნიკაციის პროცესის დეტალურმა განხილვამ დაგვანახა მისი კომპლექსური ხასიათი და პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპის მნიშვნელოვნება. გარდა ამისა, გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები იმის შესახებ, თუ რაოდენ საყურადღებოა კონტექსტის გათვალისწინება კომუნიკაციის შერჩეული მეთოდით ინფორმაციის ეფექტურად გადაცემისთვის.

ნაშრომის მეორე ნაწილი სრულად აქვს დათმობილი კომუნიკაციის როლს ადამიანური რესურსების მართვაში. განხილულია მენეჯერის როლი კომპანიაში კომუნიკაციის პროცესის ეფექტურობაში და ეფექტური კომუნიკაციის როლი ადამიანური რესურსების მართვის პროცესში. აღნიშნულ ნაწილში გაანალიზებულია მენეჯერული კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი როლი სამუშაო ადგილზე კეთილსასურველი კლიმატის შექმნასა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, თანამშრომლების მოტივაციასა და მათ პროდუქტიულობაში.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულია კვლევა საქართველოში ოპერირებად კომპანიებში კომუნიკაციის ხარისხის შესაფასებად. კვლევის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც დღესდღეობით დგას საქართველოში არსებული კომპანიების დიდი ნაწილის წინაშე.

აღნიშნული კვლევა ნათლად წარმოაჩენს კომუნიკაციის მნიშვნელობას თითოეული კომპანიის წარმატებით ფუნქციონირებაში და ხელმძღვანელობის მიერ კომპანიაში კომუნიკაციის ეფექტურობაზე ზრუნვის აუცილებლობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კომუნიკაცია, ბიზნესკომუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაცია, კომუნიკაციის პროცესი, მენეჯერის როლი კომუნიკაციაში.

Abstract

Communication is the most important factor in every human's life. We view organizations and companies as, a living organism that needs many factors for viability. One of the first and main factors for the successful functioning of any organization is effective communication as inside and outside.

Business communications as a science is in the process of formation and this work will contribute to its development and perfection to some extent. The first chapter of the work discusses the essence of communication and its importance in the management of the company. This section analyzes the essence of communication, its types and the process of communication in the organization. As a result of the analysis of these issues, we learned how important the communication process is for the effective management of business activities. We have seen what communication methods are used to establish relevant effective business communication inside and outside the company. Also, a detailed discussion of the communication process showed us its complex nature and the importance of all stages of the process. In addition, important conclusions have been drawn about the importance of considering the context for the effective transmission of information through the chosen method of communication.

The second part of the work is fully devoted to the role of communication in human resource management. The role of the manager in the efficiency of the communication process in the company and the role of effective communication in the process of human resource management are discussed. This section analyzes the important role of managerial communication in creating a favorable workplace climate and building healthy relationships, Employees motivation in their productivity.

Within the framework of this paper, a study was conducted to assess the quality of communication in companies operating in Georgia. The research revealed main problems and challenges that face many companies in Georgia today.

This study clearly demonstrates the great importance of communication in the successful operation of each company and the need for management to take care of the effectiveness of communication in the company.

Keywords: communication, business communication, effective communication, communication process, manager's role in communication.